

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	<p><b>ისტორია</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საქართველოს ისტორია;</li> <li>2. მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია);</li> </ol> <p>(სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს მხოლოდ ერთი სასპეციალიზაციო მოდული).</p>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<b>ისტორიის მაგისტრი</b>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს: სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, ფართო სამეცნიერო ჰორიზონტის მქონე ისტორიის სპეციალისტი. ორივე მოდული აგებულია პრობლემურ-ქრონოლოგიურ პრინციპებზე, რაც მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზის, მისი გააზრების საშუალებას მისცემს ახალგაზრდას და ჩამოუყალიბებს მას მოვლენების ხედვას და კრიტიკული გააზრების უნარს.</p> <p>ა) <u>სასპეციალიზაციო მოდული- საქართველოს ისტორია</u>          პროგრამა საინტერესო იქნება უპირველესად მათთვის, ვისაც სურს ჰქონდეს საფუძვლიანი, შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეობით მიღებული ცოდნა ქართველი ერის ისტორიის კონკრეტული პერიოდის ან დიაქრონულ ჭრილში დანახული კონკრეტული ისტორიული ფენომენის შესახებ და შესაბამის სფეროში კვლევების ჩატარებისათვის საჭირო ჩვევები და უნარები.</p> <p>ბ) <u>სასპეციალიზაციო მოდული- მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია);</u>          მოდული მოიცავს როგორც თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას, რომლის მიზანს წარმოადგენს საისტორიო წყაროების შესწავლისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანალიზს, რომელიც მოამზადებს მკვლევრებს და სპეციალისტებს თურქეთის ისტორიაში.</p>
სწავლის შედეგები  (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p><b>სასპეციალიზაციო მოდული - საქართველოს ისტორია</b></p> <p><b>დარგობრივი კომპეტენციები</b>          ცოდნა და გაცნობიერება: აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების თავისებურებების შესახებ, შეუძლია თანამედროვეობისა და პერსპექტივების</p>

	<p>ანალიზი და გააზრება;</p> <p>შეუძლია ანტიკური სამყაროს ქართულ ცივილიზაციაზე ზეგავლენის გააზრება და მისი მნიშვნელობის შეფასება;</p> <p>აქვს შუა საუკუნეების ქართული ნარატიული ძეგლების: საისტორიო თხზულებების, საგვარეულო მატრიანების, ქრონიკების, აგიოგრაფიული თხზულებების, საკანონმდებლო ძეგლების, როგორც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროს საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა; გაცნობიერებული აქვს მათი მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ისტორიის მთლიანობაში გააზრების, ისე ცალკეულ საკითხთა შესწავლის თვალსაზრისით;</p> <p>ფლობს წყაროების მოძიების ხერხებსა და მეთოდებს, მათი დამუშავების მეთოდოლოგიას და გამოყენებას მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, ფლობს ისტორიული დოკუმენტებისადმი კრიტიკული მიდგომის, მისი აღწერისა და დამუშავების მეთოდებს;</p> <p>აქვს არქივში დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;</p> <p>აქვს ფართო ცოდნა ქრისტიანული რელიგიის ისტორიაში; ფლობს ინფორმაციას ყველა ისტორიულ ეტაპზე, ქრისტიანობის გავრცელებიდან და სახელმწიფო რელიგიად აღიარებიდან დღემდე;</p> <p>აქვს თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გაცნობიერების უნარი;</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია სასწავლო კურსისათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრისას; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; მიღებული ცოდნის გამოყენება ისტორიის სხვადასხვა ეტაპების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით; შეუძლია ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, კომენტირება და გამოყენება სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას;</p> <p>შეუძლია მიღებული წყაროთმცოდნეობითი ცოდნის საფუძველზე გარკვეული ისტორიული მოვლენების რეკონსტრუქცია, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებელი კვლევების განხორციელება;</p> <p>დასკვნის უნარი: შეუძლია ისტორიული მასალის განზოგადების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება; საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების მსოფლიოს ისტორიულ პროცესებთან ინტეგრირებულად გააზრება; უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; შეუძლია წერილობითი, დოკუმენტური, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით, ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურულად, თანმიმდევრულად პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით გადაცემა, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია; საკუთარი შეხედულების კონსტრუქციულად წარდგენა;</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენებით საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება; მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივი განახლება; შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელება.</p>
--	--

	<p>ღირებულებები: აქვს ქართველი ერის ისტორიის, მისი წარსულის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედების პატივისცემა; სხვა ერების ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედების პატივისცემა და ამ ფასეულობების საზოგადოებაში დამკვიდრების უნარი; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება.</p>
	<p><b>სასპეციალიზაციო მოდული - მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია):</b></p>
	<p><b>დარგობრივი კომპეტენციები</b></p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა თურქეთის ისტორიული მოვლენების, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის. შეუძლია გააცნობიეროს ძირითადი პრობლემები, შეიმუშავოს სტრატეგიები და გამონახოს მისი გადაჭრის გზები.</p> <p>აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარების ისტორიაზე, აცნობიერებს ძირითად პრობლემებს და ეძებს გადაჭრის გზებს.</p> <p>იცნობს მსოფლიო პოლიტიკის, რელიგიის, მეცნიერების ძირითად კატეგორიებს; თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითად ტენდენციებს; შეუძლია ცალკეული ჰიპოთეზებისა თუ კონცეფციების შედარება და ანალიზი;</p> <p>ესმის ევროპის, კავკასიის, აღმოსავლეთის რეგიონის და მსოფლიოს დიდი ქვეყნების ისტორიული განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები; პოლიტიკური ინსტიტუტების როლი, ფუნქციები და მნიშვნელობა თურქეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტში.</p>
	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია თურქეთის პოლიტიკური პროცესების ანალიზი; ძირითადი სკოლებისა და მიმართულებების გამოვლენა; პრობლემატიკის შეფასება-არგუმენტირება; სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების არგუმენტაცია; ეროვნულ, რეგიონთაშორის და გლობალურ კონტექსტში სხვადასხვა რეგიონული მოვლენების და პროცესების სამეცნიერო ინტერპრეტაციების დასაბუთებული შეფასება;</p> <p>აქვს მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების, პროცესების ინტერპრეტირების უნარი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში; გაცნობიერებული აქვს თურქეთის განზომილებაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; გამომუშავებული აქვს მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარი;</p>
	<p>დასკვნის უნარი: შეუძლია თურქეთის, ევროპის, რუსეთის, საქართველოს, კავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ცალკეული საკითხების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და პრობლემის გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღება; მრავალმხრივი ისტორიული მასალის თანმიმდევრული ორგანიზება, სწორად კომენტირება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p> <p>შეუძლია პრობლემის დანახვა, გაანალიზება და დამოუკიდებელი კვლევის წარმოება, შესაბამისი საისტორიო წყაროსა და ლიტერატურის მოძიება; წერილობითი, ნივთიერი, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება.</p>

	<p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად, თანმიმდევრულად გადაცემა პროფესიული ტერმინოლოგიის და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. ეფექტური წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.</p> <p>აქვს გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარი; ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი.</p> <p>შეუძლია უცხო ენაზე (თურქული) სრული მოცულობის ისტორიული ხასიათის ანგარიშის/კვლევის შედგენა და მისი ზეპირი/წერილობითი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის მიწოდება.</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება; აქვს ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადამუშავებისა და შეთვისების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი; შეუძლია მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება; შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელება.</p> <p>ღირებულებები: სასწავლო კურსის წარმატებით ათვისება მაგისტრანტს დაეხმარება თურქეთისა და მსოფლიოს დიდი ქვეყნების ისტორიის ცალკეული პრობლემების შესწავლაში.</p> <p>აქვს მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის პატივისცემა. შეუძლია მეცნიერულ მიღწევათა შეფასება; ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ემზარ მაკარაძე; ასოც.პროფესორი ნანა ხახუტაიშვილი</p> <p>ტელ: 577179745; 571 32 68 64 ელ-ფოსტა: <a href="mailto:makaradze@hotmail.com">makaradze@hotmail.com</a> <a href="mailto:nana_khakhutaishvili@yahoo.com">nana_khakhutaishvili@yahoo.com</a></p>